



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს,
2019 წლის 8 მაისის N01-9161/თ ბრძანებით
დამტკიცებული
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და
ინფრასტრუქტურული
საკითხების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაზა ბოხუას
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს,
2019 წლის 8 მაისის N01-9161/თ ბრძანებით
დამტკიცებული
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და
ინფრასტრუქტურული
საკითხების საკოორდინაციო საბჭოს წევრს
ბატონ გიორგი ნოწკოლაურს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, კახაბერ
ძიმისტარიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა, ბატონო გიორგი

მოგახსენებთ, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული საკითხების საკოორდინაციო საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის საოქმოდ გადაწყვეტილების საფუძველზე^[1], შეისწავლა შპს „ალიანს მედი+“-ის კუთვნილი 100% წილის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გამოსყიდვის საკითხი (დმანისის საავადმყოფო).

საკითხი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

პროცესის დასაწყისი

სამინისტროში, შპს „ალიანს მედი+“-ის წერილი შემოვიდა 2017 წლის 19 ოქტომბერს. წერილში კომპანია საუბრობს იმ გარემოებაზე, რომ საკუთრებაში ფლობს ქ.დმანისში არსებულ უძრავ ქონებას^[2], რომლის სამედიცინო პროფილის საქმიანობის შენარჩუნებისა და ბაზისური სამედიცინო სერვისების მიწოდების ვადა იწურებოდა 2018 წლის 01 დეკემბერს, ხოლო აღნიშნული სერვისები იმ პერიოდისათვის ხორციელდებოდა საკუთარი ფინანსური შემოსავლებით.

წერილის დასკვნით ნაწილში გამოთქმულია თხოვნა, რომ უწყვეტობის პრინციპის დაცვის მიზნით, „... სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს **აპრობირებული** მეთოდით, მოქმედი სამედიცინო დაწესებულების უძრავი ქონების გამოსყიდვა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილ ფასად (დასკვნა თან ერთვის წინამდებარე წერილს), ხოლო მოძრავი ქონების გამოსყიდვის მიზნებისათვის, მისი საფასური განისაზღვროს თქვენთან შეთანხმებული აუდიტორული კომპანიის დასკვნის შესაბამისად“.

ბოლო აბზაცში კი გამოთქმულია მზადყოფნა „... სამუშაო რეჟიმში განვიხილოთ გამოსყიდვის საკითხთან დაკავშირებული თითოეული დეტალი“.

წერილს თან ერთვის სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დასრულებულია 2017 წლის 17 იანვარს და ეფუძნება გამსხვივების 2016 წლის 24 ნოემბრის მიმართვას.

სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვა მდგომარეობდა აღნიშნულ საკადასტრო კოდზე, მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა - ნაგებობების შეფასებაში.

ამ შეფასების მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მთლიანი საბაზრო ღირებულება, 2017 წლის 17 იანვრის მდგომარეობით, **საბრუნავად** შეადგენდა 657 760,00 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით^[3], ეროვნულ ვალუტაში იყო 1 745 892,00 ლარის ტოლი.

2018 წლის 5 ივლისს შედგა „სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე, პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ (შემდგომში - „უწყებათაშორისი კომისია“) სხდომა[4], რომელზეც განხილული იქნა გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკითხები და, ამ მიზნით მითითება გაკეთდა 2017 წლის 19 დეკემბრის N23 სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

2017 წლის 19 დეკემბრის N23 სხდომაზე კი მიღებული იყო გადაწყვეტილება (ოქმი ვერ წარმოადგინა სამინისტროს არქივმა და მოპოვებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან), რომელშიც ვკითხულობთ:

„სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა (უძრავი ქონების ნაწილში) და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ (მოძრავი ქონების ნაწილში) დასკვნები მიჩნეულ იქნეს გამოსასყიდი ქონების ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად“. რაც ნიშნავდა, რომ გამოსყიდვის ღირებულებები, 2018 წლის 5 ივლისისათვის, უკვე იყო დადგენილი.

ამ ჩანაწერის ასეთი სახით მიღების შემომწმების აუცილებლობიდან გამომდინარე, მოძიებული იქნა წინა პერიოდის ანალოგიური შემთხვევები, რათა დადგენილიყო პრეცედენტული მაგალითები.

ასეთი აღმოჩნდა, ამავე კომისიის 2014 წლის 22 ოქტომბრის N19 სხდომა და მასზე განხილული საკითხები, რომლებიც შეეხებოდა მესტიის, ონის, ცაგერისა და ამბროლაურის სამედიცინო ცენტრების გამოსყიდვას.

ამ სხდომაზე ნათლად აღინიშნა, რომ მთავრობისგან მიღებული იყო დავალება: **„...დადგენილი ყოფილიყო წესი, თუ როგორ მოხდებოდა დაწესებულებების მესაკუთრეების მიერ ქონების შეფასება, რათა ერთი და იგივე შეთანხმებული და დადგენილი წესი ყოფილიყო ყველა კომპანიისათვის მიღებული სახელმძღვანელო“.**

დავაკვირდეთ, როგორი პრინციპის დაცვით განვითარდა ამ სხდომაზე მოვლენები.

სულ, სხდომაზე განხილული გამოსყიდვის ობიექტების თავდაპირველი შეფასებებით, ღირებულება შეადგენდა 5 473 026,00 ლარს.

ამბროლაურის საავადმყოფოს სრულყოფასთან დაკავშირებით ჩატარებული იყო სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 83 330 ლარი, რომელიც ექსპერტიზის ბიურომ შეაფასა 24 130 ლარით ნაკლები ღირებულებით - 59 200 ლარით (1).

ამავე სხდომაზე გამოითქვა რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება, ექსპერტიზის ბიუროს მიერ შერჩეული შეფასების მეთოდებზე, დაზუსტებების შემდეგ, შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანი გახდა ასეთი შინაარსის ჩანაწერი: **„...სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ შეფასებით, უძრავი ქონების საერთო ღირებულება განისაზღვრა 3 261 100 ლარით, საიდანაც, მხოლოდ მინის ღირებულება შეადგენდა 155 900 ლარს. მაშინ როდესაც, კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, მესტიის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში მინების საერთო საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 49 900 ლარი. ანუ, განსხვავებამ შეადგინა 106 000 ლარი. კომპანიის წარმომადგენლებს მიეცათ წინადადება, გამოსყიდვისას გათვალისწინებული ყოფილიყო მინის საბალანსო და არა ექსპერტიზის შედეგად მიღებული საბაზრო ღირებულება. რაზეც მივიღეთ თანხმობა (2). გარდა ამისა, შპს „საღამოველ აი სი ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი მოძრავი ქონების ღირებულება, ცვეთის გათვალისწინებით შეფასებული იყო 2 128 596 ლარად, ხოლო შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“-ს საექსპერტო დასკვნით შეფასდა 1 755 060 ლარად, ანუ განსხვავებამ შეადგინა 373 536,00 ლარი“ (3). სულ, 503 666,00 (24 130 + 106 000 + 373 536) ლარით ნაკლები ღირებულებით მოხდა გამოსყიდვა.**

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში, გამოსყიდვის ფასად წარმოდგენილია საბალანსო ღირებულება, რომელიც უფრო მცირეა ექსპერტულ შეფასებაზე (2), ხოლო მეორე შემთხვევაში - საექსპერტო ღირებულება, რომელიც ნაკლებია საბალანსო ღირებულებებზე (1) და (3), რაც არის აბსოლუტურად სამართლიანი მიდგომა სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული, ასევე, აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების მოთხოვნებს. კერძოდ, აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, უნდა ფასდებოდეს საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლების შემდეგ) შორის უმცირესი ღირებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა ყველა ანალოგიურ შემთხვევაშიც, ქმედებები უნდა განხორციელებულიყო იდენტურად. იქ, სადაც ფასი იყო უფრო მცირე, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, გამოსყიდვა მომხდარიყო მცირე ღირებულებით. მითუმეტეს, როდესაც გამოსყიდვის ინიციატორი იყო გამსხვილებელი დაწესებულება.

ჩვენ შემთხვევაში კი მოხდა შემდეგი:

(1) მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით, გამსხვიებლის მიერ წარმოდგენილია[5] დმანისის სამედიცინო დაწესებულების მოძრავი ქონების ჩამონათვალი და საწყისი ღირებულება, რომელიც შეადგენს 621 934,71 ლარს. ხოლო, გამსხვიებლის მიერ წარმოდგენილი შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ სამშენებლო დასკვნის მიხედვით, შპს „ახალი სამედიცინო ცენტრის“, შპს „ალიანს მედი“-ის და შპს „მედიქალ პარკი საქართველო“-ს[6] საკუთრებაში არსებული იგივე დასახელების მოძრავი ქონება, 2017

წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით შეფასებული იყო **445 415,00 ლარის ოდენობით**, რაც კომისიის მიერ შემდეგში, გამოსყიდვის ფასად იყო დადგენილი. ამასთან, უცნობი რჩება მიმდინარე საბალანსო ღირებულება, რომელთა შედარების შემთხვევაშიც, შესაძლოა კიდევ უფრო სხვა შედეგს ჰქონოდა ადგილი.

(2) ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მიხედვით, მიწა[2] შეფასებული იყო საბაზრო ღირებულებით და შეადგინა **48 000,00** აშშ დოლარი. 2010 წლის 28 ივლისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფს“, მიწის ნაკვეთი გადაეცა **5 300,00** ლარად. შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, მიწის ღირებულება განისაზღვრა **5 300, 00** ლარით, რასაც დაეთანხმა გამსხვისებელი.

(3) შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება, ექსპერტიზის ბიუროს შეფასებით, შეადგენდა **609 760,00** აშშ დოლარს, რომელიც კომისიის მიერ, პირდაპირ დადგენილი იყო შესაძენი ობიექტის ღირებულებად. ამ შემთხვევაში, უწყებათაშორისი კომისიის მიერ **არ მომხდარა ექსპერტული შეფასებისა და საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარება** უმცირესი ღირებულების გამოვლენის მიზნით, უძრავი ქონების საბალანსო ღირებულების წარმოდგენლობის/მოუთხოვნებლობის გამო, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან საბალანსო მონაცემების მოთხოვნა/მოპოვება ცდება სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფლებამოსილებებს.

შედეგად, ობიექტის შემადგენელი ელემენტების გამოსყიდვის ფასის განსაზღვრაში, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან, არაერთგვაროვან მიდგომას ჰქონდა ადგილი. კერძოდ:

(1) მიწის ფასის განსაზღვრაში მიღებული იყო 2011 წლის გადაცემის დროს გადახდილი ფასი;

(2) მოძრავი ქონების შემთხვევაში მიღებული იყო შემფასებლის დასკვნით წარმოდგენილი ქონების ღირებულება, რომელიც გამსხვისებლის მიერ წარმოდგენილ საწყის ღირებულებაზე ნაკლებია, თუმცა უცნობია მიმდინარე საბალანსო ღირებულებასთან დადგენილი ფასის მდგომარეობა;

(3) უძრავი ქონების შემთხვევაში, გამოსყიდვის ფასად, პირდაპირ განსაზღვრულია ექსპერტიზის ბიუროს მიერ წარმოდგენილი **საორიენტაციო** ღირებულება და უმცირესი ფასის გამოსავლენად მის შედარებას სხვა მონაცემებთან (მიმდინარე საბალანსო ღირებულება ან საწყისი საბალანსო ღირებულება) ადგილი არ ჰქონია.

მიმდინარე პროცესები

2018 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება N24/09/18. ამასთან, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო მხარეთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი, უთარილო, მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც, ფიქსირდებოდა მოძრავი ქონების გადაცემა და „შემძენის“ მხრიდან დასტური, გადაცემული ქონების მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად მოქმედებების განხორციელება.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით ხელშეკრულების მონაწილე მხარეებია:

- „გამსხვისებელი“ - შპს „ალიანს მედი+“ (ს/ნ 404875284)[8], დირექტორი ნინო ჩაკვეტაძე, „შემძენი“ - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/ნ 236035517), დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე.

- ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შპს „დმანისის ცენტრალური საავადმყოფოს“ (ს/ნ 428884059) კაპიტალში, „გამსხვისებლის“ კუთვნილი 100% წილის სრულად გაყიდვა[9] (შემდეგში - შესყიდვის ობიექტი).

- ხელშეკრულების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 1 943 141,00 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდასამი ათას ას ორმოცდაერთი) ლარი[10].

- ანგარიშსწორების პირობები ითვალისწინებს ანგარიშსწორებას უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წილის შემადგენელი უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 82.01.42.044) უფლებრივი უნაკლოების (რაც გულისხმობს რეგისტრირებულ სარგებლობას და ვალდებულებას) დამადასტურებელი დოკუმენტის „შემძენისთვის“ წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში[11].

- ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მნიშვნელოვან დათქმას წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე „შემძენის“ საკუთრებაში გადასული უძრავი ქონების ფაქტობრივი გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. აღნიშნულ ქონებაზე ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, წერილობითი პრეტენზია, „შემძენის“ მიერ „გამსხვისებლისათვის“ წარდგენილი უნდა ყოფილიყო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო „გამსხვისებელს“ ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენა (შეკეთებით ან თვისობრივად იდენტური ნივთით შეცვლის გზით), უნდა განეხორციელებინა საპრეტენზიო წერილის მიღებიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში. „გამსხვისებელი“ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ვალდებული ხდება პირგასამტეხლოს გადახდაზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს შეუსრულებელი ვალდებულების სრული ოდენობის 10%-სა[12].

გემოაღნიშნული ვადები და ვალდებულებები, ასევე, ვრცელდებოდა „შემძენის“ საკუთრებაში გადასული წილის შესაბამის უძრავ ქონებაზეც, გარდა ნაკლის აღმოჩენის ვადისა, რომელიც შეადგენდა 60 კალენდარულ დღეს[13].

- ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე[14].

- ხელშეკრულების დადების საფუძველად მოყვანილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N1509 განკარგულება[15], რომელიც გამოიცა უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 5 ივლისის №24 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რაც შეეხება უწყებათაშორისი კომისიის მიერ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ამაზე უკვე იყო საუბარი.

კანონმდებლობით, უფლებრივი უნაკლოების შესახებ ინფორმაცია, რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში „საჯარო რეესტრი“), შესაბამისად, წილის ნასყიდობის თაობაზე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროს მოხდა სარგებლობის და ვალდებულების თაობაზე მონაცემების გადამოწმება. რის შემდეგაც, 2018 წლის 25 სექტემბერს შპს „ალიანს მედი“-თან განხორციელდა ანგარიშსწორება, ჩარიცხული იყო მთავრობის დადგენილებით და ხელშეკრულებით განსაზღვრული - 1 943 141,00 ლარი.

საკითხის შესწავლის დროს, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ მოწოდებული იყო მისი მიმწოდებელი შპს „ალიანს მედი“-თან, საიდანაც ირკვევა, რომ:

2018 წლის 15 ოქტომბერს, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ, „შემძენის“ - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, „გამსხვისებელთან“ გაგზავნილი იყო წერილი^[16] ინვენტარიზაციის შედეგად მოძრავ ქონებაზე გამოვლენილი ხარვეზების (ნივთობრივი ნაკლის მქონე ინვენტარისა და დანაკლისი ქონების ჩამონათვალის, გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემის დეფექტების) შესახებ. ამასთან ერთად, წარდგენილი იყო სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების, სამედიცინო ინვენტარის და/ან ტექნიკური საშუალების დეფექტური აქტი. „შემძენის“, იმავე წლის 15 ოქტომბრის წერილით^[17] გაგზავნილ ინფორმაციაზე, „გამსხვისებლის“ მიერ, 25 კალენდარულ დღეში, 2018 წლის 8 ნოემბრის წერილით, მოთხოვნილი იყო ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტება, რაც განხორციელდა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2018 წლის 21 ნოემბრის წერილით.

მოწოდებული დოკუმენტებით, გარდა ზემოაღნიშნული წერილობითი მოთხოვნისა, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 3.8, 3.9, 3.10 მუხლების საფუძველზე, მოძრავი აქტივების შეკეთების და/ან ჩანაცვლების თაობაზე წერილობითი მიმართვები „გამსხვისებელთან“ გაგზავნილი აქვს 2018 წლის 23 ოქტომბერს (წერილი N13/696), 6 დეკემბერს (წერილი N13/805), 24 დეკემბერს (წერილი N13/894), 29 დეკემბერს (წერილი N13/904), 2019 წლის 18 იანვარს (წერილი N13/40), 22 იანვარს (წერილი N13/52), 20 თებერვალს (წერილი N13/171 და N13/172).

საბოლოოდ, „გამსხვისებლის“ მიერ შეიცვალა და შეკეთდა 9 200,00 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება, ხოლო იმ ინვენტარზე, რომლის ჩანაცვლება/შეკეთება ვერ მოხერდა, 2019 წლის 6 მარტის მდგომარეობით, გადახდილი იყო პირგასამტეხლო 30 772,75 ლარის ოდენობით. მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მოქმედებების შემდეგ შპს „ალიანს მედი“-ის 2019 წლის 26 ივნისის წერილით, „შემძენთან“ წარდგენილი იყო მოთხოვნა მოძრავი ქონების უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ ცნობის შესახებ. ამასთან, წერილს დანართის სახით ერთვოდა ცალმხრივად, „გამსხვისებლის“ მხრიდან ხელმოწერილი, მოძრავი ქონების მიღება-ჩაბარების შესახებ აქტი N1. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი დღეის მდგომარეობით ხელმოწერილია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, „შემძენის“ მიერ აღმოჩენილ ხარვეზებზე და მათი გამოსწორების თაობაზე „გამსხვისებელს“ ეცნობა^[18] 2018 წლის 17 ოქტომბერს, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 სამუშაო დღის შემდეგ. შპს „ალიანს მედი“-სგან, როგორც „გამსხვისებლის“ 2019 წლის 19 ივნისის N03/04/19 წერილშია აღნიშნული, უძრავი ქონებაზე ხარვეზების გამოსწორების დასტურის წერილი გაგზავნილი იყო 2018 წლის 26 დეკემბერს (17 ოქტომბრის წერილის გამოცემიდან 70-ე დღეს).

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“, წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონების ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, არაერთი მოთხოვნა (2018 წლის 21 ნოემბრის წერილი N13/772, 6 დეკემბრის წერილი N13/805, 29 დეკემბრის წერილი N 13/904, 2019 წლის 18 იანვრის N13/40 წერილი, 20 თებერვლის N13/171 და N13/172 წერილები, 13 აპრილის N13/351 წერილი) აქვს გაგზავნილი „გამსხვისებელთან“, ხოლო 2019 წლის 17 აპრილის N13/351 წერილით შპს „ალიანს მედი“-ს წარედგინა დმანისის სამედიცინო დაწესებულებაში განსახორციელებელი სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ხარჯთაღრიცხვებით, მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება (გაუთავალისწინებელი ხრჯების (3%) და დღგ-ს (18%) გათვალისწინებით), შეადგენდა 159 159,30 ლარს, ხოლო გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემის მოწყობის ხარჯების ოდენობა (გაუთავალისწინებელი ხრჯების (5%) და დღგ-ს (18%) გათვალისწინებით), შეადგენდა 41 561,87 ლარს, ჯამში წარდგენილი იყო 200 721,17 ლარის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები.

აღნიშნული თანხიდან, შპს „ალიანს მედი“-ს (2019 წლის 19 ივნისის N03/04/19 წერილი) **არ აღიარებს** რიგი ხარჯთაღრიცხვებით წარმოდგენილ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მის მიერ შესრულების საჭიროებას, რაც ჯამში შეადგენს 106 142,76 ლარს, ხოლო დანარჩენ 94 569,41 ლარის ღირებულების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც შემთხვევაში, აღიარებს ნაწილობრივ ან სრულად. ამდენად, ეს ხარჯთაღრიცხვები „გამსხვისებელმა“ გახადა კრიტიკის ობიექტი და, ასეთ შემთხვევაში, საკითხი წარმოადგენს სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასადგენ ფაქტს, რაც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულებისათვის სანებართვო და სხვა პირობების გაცემისათვის მინიმალური მოთხოვნების დადგენას.

საგულისხმოა, ასევე, რომ წერილში მითითებული ნაწილობრივად და/ან სრულად ჩამოთვლილი სამუშაოების დასახელებები, რაც შემთხვევაში, არ ემთხვევა ხარჯთაღრიცხვებით წარმოდგენილ მშენებლობის ძირითადი ობიექტების დასახელებებს, ხოლო „გამსხვისებლის“ მხრიდან, რა ღირებულების და რომელი დასახელების სამუშაოებზეა საუბარი 94 569,41 ლარის ოდენობაში, არ არის ცნობილი. გარდა აღნიშნულისა, „გამსხვისებელსა“ და „შემძენს“ შორის მიმდინარეობს წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის მომზადება, სადაც შესასრულებელი

სამუშაოების ჩამონათვალი, ძირითადად, შესაბამისობაშია შპს „ალიანს მედი“-ს მიერ ნაწილობრივ ან სრულად აღიარებული სამუშაოების დასახელებებთან.

ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N01-9161/ო ბრძანებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული საკითხების საკოორდინაციო საბჭოზე (შემდეგში „საბჭო“) განხილვის პროცესშია, დმანისის სამედიცინო დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოების დაფინანსების საკითხი. საბჭოზე, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ წარმოდგენილია 101 690,22 ლარის ღირებულების 7 დასახელების სამუშაოების ჩამონათვალი, სადაც გათბობა/გაგრილების სისტემის რეაბილიტაცია წარმოდგენილია 48 358,17 ლარის ოდენობით. საგულისხმოა, რომ ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემის მოწყობა შეადგენდა 41 561,87 ლარს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ალიანს მედი“-ს თავის 2019 წლის 19 ივნისის წერილში აღნიშნავს გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის მოწყობის ხარჯთაღრიცხვაში წარმოდგენილ სამუშაოებზე ნაწილობრივ თანხმობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოზე დაფინანსების საკითხის გამოტანა, იყო ნაჩქარევი და ექვემდებარებოდა წინასწარ განხილვებს.

- [1] 2019 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმის, საკითხი N2;
- [2] საკადასტრო კოდი 82.01.42.044;
- [3] 1 \$ = 2,6543 ₾;
- [4] სხდომის ოქმი №24;
- [5] 2017 წლის 13 დეკემბრის N19/04/17 წერილი, სამინისტროში რეგისტრაციის N 123797;
- [6] ს/ნ 404878888, 100%-იანი წილის მფლობელი შპს „ალიანს მედ სერვისი“ ს/ნ 405060437;
- [7] საკადასტრო კოდი 82.01.42.044;
- [8] 100%-იანი წილის მფლობელი შპს „ალიანს მედ სერვისი“ ს/ნ 405060437;
- [9] ხელშეკრულების პუნქტი 1;
- [10] ხელშეკრულების 2.1 პუნქტი;
- [11] ხელშეკრულების 2.2 პუნქტი;
- [12] ხელშეკრულების 3.8, 3.9 და 3.10 პუნქტები;
- [13] ხელშეკრულების 3.11 პუნქტი;
- [14] ხელშეკრულების 5.2 პუნქტი;
- [15] ხელშეკრულების 2.1 პუნქტი;
- [16] წერილი N13/663;
- [17] წერილი N05/04/18;
- [18] წერილი N13/673;

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



კახაბერ ძიმისტარიშვილი